

სამხედრო - ექსტრემალური ჟურნალისტიკის პიარ პროექტი

ანი ტატულაშვილი

გიორგი ცხონდია

ემა გოგობია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნები ფაკულტეტზე საზოგადოებასთან ურთიერთობის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესაბამისად*

მედია, ჟურნალისტიკა, კომუნიკაცია: პრაქტიკა, კვლევა

ხელმძღვანელი: პროფ. ნატალია თვალჭრელიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი – 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ავტორები ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანი ტატულაშვილი

გიორგი ცხონდია

ემა გოგობია

აბსტრაქტი

ნაშრომი ემსახურება სამხედრო-ექსტრემალურ ჟურნალისტების საქმიანობასა და ამ პროფესიის რისკების შეფასებას. ჩვენი მიზნად დავისახეთ იმის გარკვევა, თუ საიდან იღებს სათავეს ჟურნალისტიკის ეს მეტად სახიფათო და ამავდროულად, საინტერესო განხრა; მსოფლიოს მასშტაბით რამდენი ჟურნალისტია ამ მიმართულებით დაკავებული და რამდენია სამხედრო ოპერაციებისა თუ სხვა ექსტრემალური სიტუაციების გაშუქების დროს დაღუპული ან დაზარალებული.

სამხედრო-ექსტრემალური ჟურნალისტიკის საჭიროებას და ამავდროულად, სახიფათოობას ჩვენ ქვემოთ, რამდენიმე მაგალითზე დაყრდნობით განვიხილავთ, რომელთა შესახებაც სტატიებს ჟურნალ „არსენალს“ შევთავაზებთ, რუბრიკაში „ჟურნალისტური რისკი“. ზემოთაღნიშნული რუბრიკით რედაქციის დასაინტერესებლად კი ჩვენ შევქმენით პიარ სტრატეგია, რომელსაც მკითხველი ნაშრომის მეორე და მესამე თავში დაწვილებით გაეცნობა. რუბრიკა „ჟურნალისტური რისკი“ მიზანია, ჟურნალისტიკის ამ მეტად სახიფათო და საინტერესო ჟანრის პოპულარიზაცია. საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება, იმის შესახებ, თუ რა სპეციფიკით გამოირჩევა სამხედრო-ექსტრემალური ჟურნალისტიკა და ვინ არიან ისინი, ვინც სიცოცხლეს არ იშურებს, რათა საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდოს.

ქართული მედიაბაზარი დღეისათვის მსგავს თემებს არცთუ დიდი ინტერესით აშუქებს. თემა კი ძალიან საინტერესოა და ქართული რეალობიდან გამომდინარე ძალზედ აქტუალურიც. ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ სამხედრო-ექსტრემალური ჟურნალისტიკის მიმდევრების გაცნობით და ზოგადად ექსტრემალურ სიტუაციებზე და ამ სიტუაციების თანმხლები რისკებისგან თავდასაცავ გზებზე საუბრით აუდიტორიის ინტერესს დავაკმაყოფილებთ და საზოგადოება შეიტყობს უფრო მეტს მათ შესახებ, ვინც ყოველთვის იმ ადგილისაკენ მიიწევს, საიდანაც სხვები გამორბიან.

ნაშრომის შესრულებისას დავეყრდენით როგორც სამხედრო-ექსტრემალური ჟურნალისტიკის დარგში დაგროვებულ მასალებს, ისე საზოგადოებასთან ურთიერთობის ძირითად პუბლიკაციებს და ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების ანალიზს.

ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილის, ოთხი თავისა და დასკვნისაგან. პირველი თავში ჩვენ შევეცადეთ, ზოგადად მიმოგვეხილა ჟურნალისტიკის ამ ჟანრის აუცილებლობა და გვეთქვა რამდენიმე სიტყვა სამხედრო-ექსტრემალური ჟურნალისტების შესახებ. მეორე და

მესამე თავები კი მთლიანად პიარ გეგმას დავუთმეთ, რომელიც სამხედრო-ექსტრემალური ჟურნალისტიკის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად და შევეცადეთ სწორედ ამ ნაწილით, ჩვენი წვლილი შევიტანოთ სამხედრო-ექსტრემალური ჟურნალისტიკის განვითარებაში. მეოთხე თავი დაეთმო იმ ნორმებს, რომლებიც ყველა ჟურნალისტმა უნდა იცოდეს კონფლიქტურ სიტუაციაში მუშაობისას, რამეთუ, უპირველესი და ყველაზე ღირებული მაინც ადამიანის სიცოცხლეა და ჟურნალისტმა ინფორმაციის მოპოვებამდე ჯერ საკუთარ სიცოცხლეზე უნდა იფიქროს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სამხედრო, ექსტრემალური, საზოგადოებასთან ურთიერთობა.

Abstract

The theme is describing the work of military journalists and the evaluation of the risks linked to their profession. Our goal was to investigate and define where this interesting and extreme direction of journalism comes from, how many military journalists work worldwide, what kind of military activities they illuminate and to review the statistics of how many of them injured or died while working.

Needs and risks of military journalism is defined below based on specific examples and the articles about this issues will be offered to the journal Arsenal in rubric named Risks Of The Journalism. To make the redaction interested by the remarked rubric we prepared the special business plan, which will be reviewed in the third and fourth chapters of the theme. The rubric Risks Of The Journalism serves for popularization of the military journalism and informing the society about specifics and risks of this profession and what is the cost for getting the desired information. Today's Georgian media market illuminates such themes but with low interest, but there are many interesting facts and occasion according to Georgian military reality, that's why we think that there already is the interest of such issues in society but it needs to be explored an stimulated.

We think that everyone will be interested of their stories who always run to the place where others runaway from. While working on this theme we used materials not only from military cases, also from publications of public relationship and statistics gathered from our research.

The theme includes the introduction. In the first chapter is about the importance of military journalism. The second chapter reviews the norms and rules of this profession as the human life is the most important in any case and military journalists need to evaluate situation and risk while trying to get information. The third an fourth chapters are about the business plan, which serves for the popularization of the military journalism and by this part we try to be the initiators of the development of this profession in our country.

Main search words: Military, Extreme, Public Relationship